სახალხო გაგეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 982

დამატების № 173

კვირა, 1 სექტემბერი 1913 წ.

ალის სიმღერა

(ეძღვნება ლ. ი. კვეზერელს)

ტბის ტალღებ'ში ბანაობდა ტბის ასული თმებ-გაშლილი,
ვერცხლის ზოლად ევლებოდა ბროლის მკერდსა ზვირთი გრილი;
ნაზი კდემით იღიმოდა განბანილი ძუძუ წყვილი,
ელვარებას ისხლეტავდა ლალის ბაგით თეთრი კბილი...

—

თვალთა ლულვა სხივს ისროდა ტრფობის ნაღველ გადაკრული,
მთვარეს კდემას სთავაზობდა ნაზი სახე გაბადრული;
ელვის ზოლად მოლივლივე ტანი იყო ალვა-რგული,
სიყვარულის ვარდი იყო—ცის სიწმიდე ხორცშესხმული...

—

განთიადი სხივთა ლეჩაქს ჰპირდებოდა ტრფობით სნეულს,
ძალნი ცისა უმზადებდნენ ბვეშსაშლელად ლალსა რხეულს;
ცის კამარა საცეკვაოდ მკერდს უშლიდა ასულს გრძნეულს,
არ იცნობდა შავი მიწა თვის შვენებას ეშმაკეულს...

—

ტბის ასული, მოღიმარე, ამოვიდა ტბიდან ნელა,
გრძნეულება მოაფრქვია ჯადოსნური მინდორ-ველა;
თავს გვირგვინად შემოერტყა ყვავილები თითქმის ყველა,
ჯადოსნურად მღელვარე ხმით მღერა მოართო ნელა-ნელა...

სიმღერა

„ვფიცავ ჩემსა შვენებას,
ვფიცავ ცრემლსა იისას;
ვფიცავ წმიდა ტაძარსა
ციურ პოეზიისას;
ვფიცავ გულსა მკვნესარეს
ქნარსა სიყვარულისას;
ვფიცავ ლოცვის ჩურჩულსა,
სიმთა ღღერას სულისას;
ვფიცავ მიჯნურისათვის
სატრფოს ცრემლის დენასა;
ვფიცავ პირმშოს ბედისთვის
მშობლის აღმაფრენასა:
კაცი სოფლის მეფეა,
სტკბება ტკბილი შრომითა;
წინ მიილტვის მზისაკენ
უკეთესის ნდომითა;
სოფლის ავით კარგსა ჰქმნის
ღვთაებრივი სულითა;
და ყოველსა აღმერთებს
წმიდა სიყვარულითა;
ამიტომაც სიცოცხლით
ზიარება თავისა:
არის წმიდა მიზანი
ყველა მომაკვდავისა!“

კიკნა-ფშაველი.

შავი რაინდი

პოემა

მოტო პოემისა:
Das Gwîg Weibliche
Zisht uns hiodn. *)

კარი პირველი.

პირველი ხმა. ჰეი, ვინ ხარ, სიბნელეში
იქ ბილიკზე რო დამდგარხარ.
ცხენიან კაცს გზა მიტიო,
ნუ თუ ამას ვერ მიმხვდარხარ?

მეორე. ჩუ, სიმღერას ყურს უგდებდი,
ადგილით ვერ დავიძარი,
მე გახლავარ მონადირე
დაჭრილ შველის მაძებარი,
ჰე, უცნობო, შენიც მითხარ
ან სახელი და ან გვარი!

პირველი. მე სახელად მზე ჭაბუკსა
შინ და გარედ მეძახიან.
ნადირობა ვის სმენია
სიბნელეში ასე გვიან,

მონად. მეფის შვილო! ეს შენა ხარ,
ვის მსახურობს ეს ქვეყანა?
უამალოდ მწირ ადგილას
ტყეში აქ ვინ მოგიყვანა?
მაპატიე რო ბნელაში აგრე ველარ გაგარჩიე.

მზე ჭაბ. მე აქეთკენ მარტოდ-მარტო
დაჭრილ შველსა გამოვსდიე.
შენ ეს მითხარ: რა ფერია
შენ რო შველი დაგიჭრია?
ნიშანი რამ ან გულ-მკერდზე,
ან თეძოზე თუ ატყვია?

მონად. შველი იგი, მეფის შვილო,
მე შემომხვდა აქ ეწერზე,
თეთრ კიოპსა ოვალი მოვკარ.
ასე ვგონებ ჰქონდა მკერდზე.
მაგრამ იგი მე სრულიად
შემეფეთა აქ შემთხვევით.
კარავისკენ მივდიოდი,
ზღვის პირს რო დგას ტყისა ქვევით.
მივდიოდი და საჯოხეს ჯიბის დანით
რასმეს ვთლიდი.
მშვილდ ისარი ხელი, არ მქონდა,
და შველს ეგრე ვით დავჭრიდი!
ძლივს მორბოდა, შემდეგ ვნახე
მოლზე სისხლი დაეწვეთა.
ალბად შენი დაჭრილია
მე რო შველი შემეფეთა.

მზე ჭაბ. მაშ ისარი... ჩუ, რა ხმაა
ზღვის პირიდან რო მოისმის?..

სიმღერა. „ცაზე ვარსკვლავს რა ახარებს
ფირუზ თაღზე რო ციმციმებს
ღრუბლის ქულას რა ატარებს?
ეოლოსის კითხე სიმებს.
როს ღრუბელი მოყიალე,
სიხარულის ცრემლს აწვიმებს,
ძირს ნარგიზი თავს ხრის მაშინ—
ვერცხლის ცვარიც მას ამძიმებს,
ბროლის ცრემლით ევედრება
ის ეოლის მკვნესარ სიმებს.
ვარსკვლავია ცის მშვენება
ყვავილი კი, ნორჩ მდელოსი.
ყვავილთ შორის შვამავალი
შიკრიკია ეოლოსი...
ვარსკვლავი ცის მშვენებაა
ეს მყინვარზე ვინ დასწერა?
ყვავილები მოლს ამკობდენ
და მიწას კი ქალეთერა.
მიწის შვილთა თუ ისმინონ
გულს დაუკოდთ ეს სიმღერა.“

*) მარად ქალური გვიზიდავს ჩვენ.

„ოქროს კარიანის“ დღესასწაული

ეკლესიაში ამოსვლა.

ცეკვა.

ახალგორელები მიდიან ეკლესიაში.

„ოქროს კარიანი.“

მზე ჭაბუკი.

ჩუ, ვინ მღერის ჟამს მწუხრისას, ეს ვინ უვლის ფერხულს ველად?
ალბად ვინმე მეფის ქალი ბანაობდა უეჭველად.
ყმაწვილ ქალთა ეს ამალა თანაც ახლდა მას მომვლელად,
მეხე, წინად რა შორს იყვნენ გაარჩევდი კაცი ძნელად
ახლა კი ვსჭვრეტ თეთრ საპოსზე გიშრის დალალთ დაყრილთ
გველად,
ეს სიმღერაც გულში მწვდება ხან საამოდ, ხან დამწველად.

მონადირე.

მეც მაგ ხმებმა, მეფის შვილო, მომხიბლა და გამიტაცა
სულ აქ ვდგავარ მემას შემდეგ მწუხრის ბინდმა მორთო რა ცა.

მზე ჭაბუკი.

შენ ბილიკით ჩამოდექი, მაგ ფერდობით ჩავალ ველად,
ვნახავ იმათ, ვინც ზღვის პირად იქ მღერიან სანუკველად.

მონადირე.

მეფის შვილო! მაგას ნუ იქმ, თავი ნუ გაქვს გასაწირად.
ჩვენი ერი შენ გსასოობს, მას მზე შენი ულირს ძვირად.
ბანოვანთა იგი გუნდი მოციკვავე ზღვის ნაპირად,
შენ რო ვიღაც მეფის ქალის ამალობა მიაწერე,
ნამდვილად კი ზღვის ფერიებს ვხედავთ ჩვენ წინ, დამიჯერე.

მზე ჭაბუკი.

მსურს წავიდე, უნდა ვნახო...

მონადირე.

მეშინია არ შეგემთხვეს ხიფათი რამ სავაგლახო.

მზე ჭაბუკი.

ხმალ კაპარჭი ხელთ არა მაქვს? ან სამისო რა იქნება?
მსურს წავიდე, დე აღსრულდეს განგებისა იგი ნება.

მონადირე.

მეფის შვილო! თან გიახლო, თუ მარტო გსურს, ვით ამბობდი.

მზე ჭაბუკი.

ნება შენი, ძალს არ გატან, გინდ დარჩი და გინდ წამოდი.

მონადირე. გეახლები.

ფერიების ფერხულს რო მიუახლოვდებიან, იგი ორ წყებად გაიყოფა.

ერთი იწყებს, სხვა აჰყვება.

ჰე, ჭაბუკო, დაჭრილ ნადირს
სანამ გინდა სდიო,
იო, იო, მზევ შინ შემოდიო.
განთიადზე ტყედ მიმავალს
გზაზე შემოგხვდიო,
იო, იო, მზევ შინ შემოდიო.
ჩემი ხელით ეგ კულული
უნდა შეგირხიო,
ზამბახების თაიგული
მკერდზე დაგაბნიო.
იო, იო, მზევ შინ შემოდიო.

ახლა მეორე წყება:

ქალეთერა
შენ! წახვედი,
მე მით დავობლდიო.
დაისერა
ჩვენი ბედი
მოსთქვამს მინდვრის სიო.
იო, იო,
მზევ შინ შემოდიო.
მე ამ ქვეყნის სტუმარი ვარ მუდამ ამბობდიო.
იო, იო, მზევ შინ შემოდიო.
მზევ, ზღვის წიაღს ჩაძირულო,
ისევ ამოდიო,
მზევ ქვეყნისთვის ბნელს ჩანთქმულო
ისევ ამოდიო.
იო, იო, მზევ შინ შემოდიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სიძველენი.

ერთ ერთი ძველებური ეკლესიის ნანგრევები ტყემლოვანის ხეობაში. (გორის მაზრა).

მონადირე.

მეფის შვილო! შიგ ნუ შევალთ, ეგ ბინაა ვგონებ მათი.
ხედავ მჭედელს, მოხუც ჭინკას, მეფის შვილო, რამ ხიფათი
ამ ავსულმა არ მოგვწიოს.

მზე ჭაბუკი.

რას გაბედავს! ბებრუცუნას გავამგზავრებ საიქიოს.

მჭედელი.

ბერი ჭინკა კერასთან ზის, სტუმრებს ერჩის იგი არას,
მაქო დარბის და გზიალი გესმით გააქვს თითისტარას.
ბერი ჭინკა ხმას არ იღებს, ატრიალებს თავის ჯარას.

ერთი ფერია.

(მოხუც ჭინკას მიუბრუნდება)
საფეიქრო რად დასტოვე, დათავება უნდა საქსოვს!
მდუმარედ ზის. ყურს არ ესმის. არას ფიქრობს. არა ახსოვს.

მეორე ფერია.

უმალ ტალღა გაქვავდება
ქვიშის თოკით ქარს შევკოჭავ.
უმალ მთვარე გაშავდება,
ცით ვარსკვლავებს ჩამობოჭავ,
უმალ კლდის კუზს ჩამორეცხავს,
და ჩამოქნის წყლისა ჭავლი,
ვიდრე ხეპრე ბებრუცუნას
მოარჯულებ, ჭკვას ასწავლი.

მზე ჭაბუკი.

აქ რათ უნდა კედლის სარკე, ან კუთხეში ძვლების ყორე

მონადირე.

სამჭედლოა, საფეიქრო? ღმერთო, ხიფათს აგვაშორე.

ფერია.

ეს ჭინკების სამყოფია. არც ერთია, არც მეორე.

მჭედელი.

აქ ისმენენ გაუგონელს,
აქ წონიან აუწონელს
აქ ხვრეტავენ თვალით კედელს,
ბერი ჭინკა ჯარასთან ზის,
მე კი ვჭედავ გაუჭედელს.
ბერი ჭინკა ჯარასთან ზის
სევდიანად თანაც მღერის:
„როს ზღვას სძინავს, ნაპირი სთვლემს...
ხმა შესწყდება ვირცხლის ჩქერის.
ოდეს მთვარის ანარეკლი
ვით დალალნი ქალეთერის,
ზღვას ეხვევა გარს ლეჩაქად,
მაშინ კუნძულს, შუქზე მთვარის
შორით რო სჩანს მცირე ლაქად,
უცხო ლანდი რამ ეწვევა.
და სალ კლდიდან გადმომდგარის
ხმა გარემოს მოერხევა:
„„წყეულ იყავ, ვინც დუმილი
„„ჩემს გარშემო დაამყარე,
„„მუნჯ სიჩუმით ჯადო ქმნილი
დაადუმე ირგვლივ არე.
„„წყეულ იყავ, რადგან ამით—
ჩემში სევდა გააღვიძე.
„„წყეულ იყავ, ჯავრ-ვარამით
„„ვინც დატვირთე ადამის ძე.
წყეულ იყავ, ვის ჩემ სულში
„„ექვის გველი ჩაგისახავს.
„„დე, მსოფლიოს ბნელ უფსკრულში
„„მიწა ნათელს ნულარ ნახავს.
„„ცხოვრების ხეს წყევლამ ჩემმა
„„ყოფნის კვირტი შეაყინოს,
„„არსებობის მაჯის ცემა,
ვით ზღვის ტალღა მიაძინოს.
„„შექმნილი და შემომქმედი
„„ამიერით წყეულ იყოს.
დე, მურტალი კაცის ბედი
„„ყრუ ნაპირზე გაირიყოს.
არსაით ხმა. ფერ მიმკრთალი
„„ჭმუნავს მთვარე. ზღვას კვლავ სძინავს.
„„და იმ ხმაზე წამომფრთხალი
მეთოლია შორს მიფრინავს.
„„აჩრდილი კი ზის მდუმარედ
სიპ ნაპირზე ფეხ მორთხმული,
„„და კუნძულიც სთვლემს მარტოკა—
„„ტალღათ ლაშქრით შემორტყმული.““

მონადირე.

მეფის შვილო! ერთის წამით კედლის სარკეს დააცქერდი.
ხედავ ასულს თვალ ფირუზას, ზღვის ქაფივით თეთრი მკერდი...

მზე ჭაბუკი.

ღმერთო, ნუ თუ ეს ცხადია, თუ სიზმარი ესდენ ტკბილი,
ეს ოცნების ხატებაა თუ მშვენება ცხად ყოფილი.
ვით ყვითელი აბრეშუმი ბეჯით ხელით დახვეწილი,
ვხედავ თმები ბეჭს აყრია,
ოქროს კულულთ ნაკადული ბროლზე ვინ ღა დააფრქვია?!..
შეხე, შეხე ვით ცახცახებს თმის შეხებით ძუძუ წყვილი,
მთის ყვავილზე თუ მინახავს მოციალე აგრე რთვილი
შეხე ბაგე როგორ უთრთოის ცელქ ამურის ტყვედა ქმნილი.
ხედავ მაგ ტანს ლაღად ნაკვეთს ვით უხდება ძუძუ წყვილი.
ეგ თითებიც მარმალილოს, მხატვრის ხელით ჩამოქნილი
ცალ ძუძუზე რო იფარებს, ცალ ძუძუზე რო იკიდებს,
შეხე მაგ ხელს, ე მაგ თითებს.
ნუ მიყურებ, ნუ მიყურებ, ეგ თვალები ცეცხლს მიკიდებს...

საქართველოს სიძველენი.



ერთი კუთხე ტყემლოვანის ხეობაში, (გორის მაზრა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონადირე.

მეფის შვილო! მეშინია ეს ლანდია საშიშარი,
არც ცხადია, არც სურათი, არც ოცნება, არც სიზმარი.

მზე ჭაბუკი.

ნეტავ, იგი მაცოდინა ეს ქალწული თუ ვინ არი?..

ფერია.

ზღვამ ის ერთხელ მიწას უძღვნა, ნაპირს ვპოვეთ ადრე დილით.
ლინჭილები დახვეოდა თმას შებურვილს ოდნავ სილით.
ზღვის ქაფისგან დანაბადი შლამზე კრთოდა ბროლის ტანი,
ჩვენც ავიღეთ ის ნობათი, ტალღებისგან მონატანი,
მოუარეთ, ყვავილების სარეცელზე დავაწვინეთ.
მუშკამბარი დავაკმიეთ, შადი მკერდზე დავაფინეთ.
ზეცის რეკად აღვიძებდა ცოდვილ მიწას მის კისკისი—
ცელქ ამურებს ამბროზია თან მოჰქონდათ საზრდო მისი.
მცხრალ მთოვარეს მიუგავდა, სახე მნათი არა მქისი.
ფერიები მას ტანს ვბანდით, ზღვის ნიავი თმას ვარცხნიდა,—
ნორჩი იყო, როცა იგი პირველ—ქვეყნად აქ მოვიდა,
ჭაბუკ კაცებს მის შემხედვართ სახის კრთომით ბნედას გვრიდა.
მაგრამ ოდეს ქალ ეთერა გაივსო და გაიზარდა,
მკერდზე ძუძუ აუკოკრდა, მკრთალი ღაწვი გაუვარდდა,
იგი უნდა მომკვდარიყო, რადგან ორ ღმერთს შეუყვარდა.
უკვდავ ღმერთთაც საბოლოდ გადასწყვიტეს მისი ბედი.
გინდ მოჰკლავს და გინდ აცოცხლებს, იცი, შექმნილს შემომ-
ქმედი.

ერთხელ, ვიდრე განაჩენი აღსასრულში მოეყვანათ.
ზღვის ნაპირზე თვითვე ღმერთებს მსხვერპლი სურდათ დაებანათ.
მოხუც ჭინკამ მათ ურჩია, დაერღვიათ იგი ნება—
ტალღებისთვის უვნებელად გადაეცათ ზღვის მშვენება.
ღმერთებს მართლაც მოეწონათ მოხუც ჭინკის იგი რჩევა—
ზღვის გულ-მკერდზე, როდესაც ზღვა ტკბილათა სთვლემს, არ
ირწევა—
მსხვერპლი უნდა დაეწვინათ... და ვარდის წყლით რა დაბანეს,
განაჩენი თავის ხელით აღსასრულში მოიყვანეს.
ვის უნახავს ფირუზი ზღვა მოტორტმანე, მოქანავე,
ვის უნახავს ქალ ეთერა ზღვის ცელქ ჭავლში მობინავე,
ვის უნახავს ვერცხლის ნამი, თეთრ ზამბახზე მოკისკისე,
ზღვის თეთრ ქაფში მისი ტანიც კრთოდა ისე, კრთოდა ისე...
ვაჰმე, მიწამ ზღვის ნობათი არ მიიღო დაიწუნა
ზღვის ასული, ზღვის მშვენება, ისევ ზღვასვე დაუბრუნა.
მზემ ზღვის თვალში მოხითხითემ ზღვას ცრემლები დაათოვა,
ზღვის მშვენება ზღვამვე ჩანთქა, ის მიწაზე როს ღა მოვა?!
ზღვის შიკრიკმა გვამცნო ერთხელ მისი ბედის შავი წერა,
ვინმე რაინდს ზღვად მიმცურავს ტყვედ შეეპყრო ქალ ეთერა.
და ზის დღესაც მის ბნელ კოშკში, ელის ცისკარს ცრემლის
ფრქვევით.
სრას კედელი გარს არტყია, ტალღათ რაზმი კედლის ქვევით.
და როს ბინდის ბნელი ფლასი მძინარ სოფელს გარს ეხვევა,
შავ იალაქნით, შავ ხომალდზე შავი ლანდი სრას ეწვევა.

ქარი მეოთხე.

ომარ მეფეს თათბირი აქვს ხმელეთის და ზღვისა მპყრობელს,
ნაზირ-ვეზირს რჩევას ჰკითხავს, პირდაპირ მთქმელს, არა მთნო-
ბელს—
ყველამ იცის, შვილის წყლული გულს რო დაგავს მუდამ მშო-
ბელს.

— ჰე, ვეზირო, გაგიგია ჩემი სულის მწარე ურვა,
გაგიგია, ცა რომ გაწყრა ჩემზე რისხვით მოიბურვა—
გაიგებდი: ჩემმა შვილმა სოფლად გაქრა რო ისურვა.
კარგად იცი: მზე ჭაბუკი, ერთად ერთი ჩემი შვილი,
არს სიბერის ყავარჯენი სიყრმის ტყეში გამოჭრილი—
უცხოდ მიდის. ის წავიდეს მე აქ დავრჩე ვაგლახ წბილი.
მზეი ჩემი სიცოცხლისა იცი მასზე რო ამომდის.—
მეფემ ცრემლი მოიხოცა.—ჰაუ ღმერთო ეს რა მომდის?!
თუ ეს წერა მომელოდა, რათ არ მომკალ აქამომდის.
ისიც იცი, ვერას გავხდი, ზრუნვა მქონდა არა მცირე.
ჭაბუკს სევდა გაექარვა, ვაჯირითე, ვანადირე.
ოდეს თვითვე მოისურვა, სალაშქროდაც კი გავწირე.
ჯირითში თუ ლაშქრობაში რო არ ჰყავდა მას ბადალი,
შუბ-ისარსა ელვად ხმარობს, აბჯარს აპობს მისი ხმალი
დღეს კი, ხედავ შენი თვალით: დაღრეჯილა როგორც მხდალი.
უკანასკნელ ომში იგი ვით იბრძოდა თავდადებით,
ეს პირველად შენ მახარე, მოიხსენე ჩემს წინ ქებით.
ახლა ლაშქრად არვინ გზავნის, თვითვე მიდის თავის ნებით.
ჰარამხანას, იცი, ჩვენსას არვისი სჯობს ცის ქვეშ სხვისა,
ქალნი ტანად ალვა რგულნი, პირ ბადახშნი, ხმა კისკისა,
ვისც უპყრიათ, ხელთ თილისმა, თვალს ისარი ვაჟკაცთ წვისა,
თუმც პირველად ქე გაერთო, კვლავ მოსწყინდა, არ ეთვისა.
მსურს ელჩები გაუგზავნო მეფეთ მეფეს ჩემს მეზობელს,
მრავალ ლაშქართ მბრძანებელს ბ ჯავარეთის დიად მპყრობელს,
ამას შენცა გიზიარებ ნაზირ-ვეზირს ჭკვიან მბჭობელს.
შენც გინახავს, მეფის ქალი ბანოვანი ასანდარი
თმა ხუჭუჭა, ტან წერწეტა, ბაგე ტკბილა, ხმა ნარნარი.
განთიადზე დილის ცვარით პირ დაბანილ ვარდის დარი.
ასე ვგონებ მზე ჭაბუკსა მისი სჭირდეს შორით კვდომა
აზატ მეფის ქალიშვილი ალბად მიტომ არ ინდომა.
გამოჭკითხე, სანამ ელჩებს გავგზავნიდე მეფის კარად,
მზე ჭაბუკი შენ გენდობა, დაგიმალავს პასუხს არად.
ბავშვობიდან შეგჩვევია, და გიყურებს ძმისა დარად.
გამოჭკითხე მაგ ჩემ ჯავარს, რა ადარდებს, რა აწუხებს?
ასანდარის შერთვა თუ ჰსურს, ალბათ მასზეც გიპასუხებს,
თუ უაზროდ გაიჭრება, ზეცაც ჩემზე მოიქუხებს.
უთხარ მამის სიცოცხლე—თქვა, ხომ კი ხედავ რო დავბერდი,
ხელში რახტი აღარ მიჭრის, აწ ვერ ჰგუობს აბჯარს მკერდი.
მე მეგონა ტკბილ სიცოცხლის,—ნეტარ სუნთქვას შენ მომ-
ბერდი".—
ვეზირი რაკი მოისმენს, თავსა ჰხრის მის წინ მდგომელი,
მარჯვენა ხელი მეფისა, მისთვის კეთილის მდომელი,
ზრდილი, დინჯი ბ ბჭობაშიც შორს მჭვრეტი, არა მწრთომელი.

(დასასრული იქნება).

კ. აბაშისპირელი.



აბა, პროტესტები, პროტესტები!!..

ტფილი ი, მუხრახის ქუჩა, სტამბა „შოთმა".
რედაქტორ-გამომცემელი ბ. ბუმბაძე.